თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1600575

ნომერი: AR1262941

თარიღი : 03.11.2014

გაცემის თარიღი : 24.11.2014

გაცნობის თარიღი : 26.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 64 , (ნაკვეთი N 005/055) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო აბსანძე პ/ნ 01009014528
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვ. კორ. 19 ბ. 15

ორგანიზაცია:

- ფრესკო შოპინგ ცენტრი კოდი: 406092570

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 5 მაისის №1249283 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 3 ნოემბერს #AR1262941 განცხადებით მომართა შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ გენერალურმა დირექტორმა ნინო აბსანძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 05.05.2014 წლის №1249283 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.05.2014 წლის №1249283 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. #64–ში მდებარე მიწის ნაკვეთს მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობა (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და სავაჭრო ცენტრი) დაუდგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აქტში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი“

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: 882014454919, თარიღი: 03/09/2014წ. ს/კ: 01.12.01.005.097) თანახმად, სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს შპს „გურამიშვილის 64“.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ გენერალური დირექტორის ნინო აბსანძის 2014 წლის 3 ნოემბერის #AR1262941 განაცხადება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2014 წლის 5 მაისის №1249283 გადაწყვეტილება;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.